სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 22 0000635377

13/06/2022

“2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ” სტუ-ის 2022 წლის 11 მარტის №248549 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ” სტუ-ის 2022 წლის 11 მარტის №248549 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-6^1 პუნქტი:

„6^1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის, რომლებიც ამ ბრძანების მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების შემადგენლობის ცვლილების (ქვორუმის არ არსებობა) გამო ან/და სხვა საპატიო მიზეზებით, ვერ გავიდნენ დისერტაციის წინასწარ დაცვაზე, დისერტაციის წინასწარი დაცვა ჩატარდეს მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე.“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს (ლ. კლიმიაშვილს).

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

რექტორი
გურგენიძე დავით